




ირაკლი ლარიბაშვილი: მას შემდეგ, რაც ჩვენს ჯარისკაცებს ვუყურე, მართლაც საამაყო აღამიანების და ბიჭების გვერდით ვიდექი, არ მინდა, ყოფილ პრეზიდენტზე კომენტარი გავაკეთო. მას ობიექტური გამოძიება გასცემს პასუხს. რაც მთავარია, ჩვენ ვიქნებით მაქსიმალურად გამჭვირვალე...

ვაზიანის სახელადრო პოლიგონზე გუშინ წარმოთქმული სიტყვიდან.

საქართველოს



დაარსებულია
1918 წელს.

პარასკევი, | აგვისტო, 2014 წელი.
№150 (7531)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge


ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ვინ აგებს პასუხს არასწორად გამოტანილი ბანაჩენისთვის?

მოსამართლემ, თუ ის ნამდვილად პრინციპული და მიუკერძოებელია, არამც და არამც ნება არ უნდა დართოს განსასჯელს და მით უმეტეს, მაღალჩინოსანს, რომ პროცესის დროს ანგისახელმწიფოებრივი პოლიტიკური განცხადებების გრიბუნად გამოიყენოს სასამართლო, როგორც ეს მერაბიშვილის, ახალაიას და განსაკუთრებით გიგი უგულავას შემთხვევაში ხდება!..

ნ. 3 გვ.




დიდი ბანკრო იუბილარია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი რეჟისორ რობერტ სტურუას დაბადების დღეს ულოცავს.

„დაბადების დღეს ვულოცავ შესანიშნავ ქართველ რეჟისორს რობერტ სტურუას. თავისი შემოქმედებით რობერტ სტურუამ ეპოქა შექმნა ქართულ თეატრში. მან შექმნა სპექტაკლები, რომლებმაც მსოფლიო ალაპარაკა ქართულ კულტურაზე. დიდ რეჟისორს არაერთი სპექტაკლი აქვს დადგმული მსოფლიოს წამყვან თეატრებში, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოუტანა მას და ქართულ კულტურას.“

კიდევ ერთხელ ვულოცავ ბატონ რობერტს დაბადების დღეს. ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და კიდევ ბევრ შემოქმედებით წარმატებას“, – ნათქვამია ირაკლი ლარიბაშვილის მისალოც წერილში.



რატომ უნდა ისჯებოდნენ ბევრად უფრო ნაკლები დანაშაულისთვის ჰელმუტ კოლი, ჟაკ შირაკი, სილვიო ბერლუსკონი, ნიკოლა სარკოზი, ხოლო უმძიმესი დანაშაული დაუსჯელი უნდა რჩებოდეს? დანაშაულებრივი ქმედებების ჩამდენი პირებისთვის ხელისუფლებაში ყოფნა იმუნიტეტი არ უნდა იყოს. 6

აუზ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება ბანა ქოთანია, ყური საიდანაც გინდათ. იმიდან რომ გამოაბათ! 3

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..

დღეს პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებელი აღაშენებელი კი თვალნათლივ ხელახლდა, რომ ტელეარხი „რუსთავი-2“ აშკარად ეწევა ხელისუფლებაში ყოფნის მთელი ცხრა წლის მანძილზე მრავალი მძიმე დანაშაულის ჩამდენი ნაცინოლოების რეანიმაციას და ჭიუტად განაგრძობს ახალი ხელისუფლების უთუოდ ხალხის საკითხად პოლიტიკის ყოველგვარ ბაზიბრუნებას!

არხის ხელმძღვანელად უფალოდ სააკაშვილისგან დანიშნული, ცხრა თოვზე გადახსტარი „პროკურორის“ ბგარამიას მუქარა ამჟამინდელი მთავრობის მიმართ – ჯოჯოხეთს მოგიფიცოთო, ყოველდღე მეთოდურად ბრძოლდება მთელი ოცდაოთხი საათი!

საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში პრესას და განსაკუთრებით ტელევიზიას რომ უდიდესი შესაძლებლობა აქვს, არანაღია... მთავარია, თუ როგორ გამოვიყენებთ ამ შესაძლებლობებს, როგორი ფორმით მივაწვდით საზოგადოებისთვის მედიასაშუალებების მიერ მომზადებულ მასალას, ანუ სად დაისმება ის მძიმე, რომელსაც შეუძლია ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა კონტექსტით წარმოგვიდგინოს.

ოთხშაბათს „რუსთავი 2“-ის ეთერში გავიდა „ნანუკა ჟორჯოლიანის“ მორიგი შოუ, რომელიც ბრალდებულ ყოფილ მერს გიგი უგულავას, მის მიერ განვლილი ცხოვრების გზას ეძღვნება. სანამ ჩემს მცირე კომენტარს გავაკეთებ, მინდა, შემოგთავაზოთ ორი პიროვნების მოსაზრებანი ამ თემასთან დაკავშირებით (სტილი დაცულია – „სრ“).



მერე მითხარით – აქ დიდხანს დარჩებიო...
ახლა გაიხსენეთ მე რა გითხარით: თავს ვიპარსავ, ნაც. ბანდის მოკლული ბიჭების სახელების ტატუს ვიკეთებ თავზე, და თქვენი დედების უპირობო მოკითხვაზე გადავალ-თქო...მერე მთელი ცხიები ამყვება და რეზულტატით „დაგატკობთ“-თქო!!!
გახსოვთ ფარჩაკებო???
თუ არადა ჩანანერები ამოიღეთ და დატკობთ!!!
აი იმ წერილების მცირე ნაწილი, რომლებსაც ჩვენი პატიმრები წერ-

საფრთხეზე, დიას სწორედაც რომ საფრთხეზე, რომელიც ამ, ერთი შეხედვით გულისამარჯულებელ და ტექნიკურად, მართლაც კარგად გაკეთებულ გადაცემაში არის ჩადებული, არავინ საუბრობს. გამოითქმება მხოლოდ აღშფოთება, კრიტიკა, ირონია, დაცინვა, მაგრამ არავინ ამბობს მოსახლეობის იმ ნაწილის მოტყუებაზე, რომელსაც ხელი არ მიუწვდება ინფორმაციის სხვა საშუალებებზე. არ მიუწვდება ხელი სიმართლეზე, იმ სიმართლეზე, რომელიც აბსოლუტურად იგნორირებულია. სამწუხაროდ, ე. წ. „ეთიკის ქარტია“ დუმს. დუმს სიმართლის მოდელირების ამ მახინჯ ფორმაზე, ხმას არ იღებს ე. წ. „უფლებადამცველთა“ ტრიო (კოფორიძე, გიგაური, ლომჯარია), მიუხედავად იმისა, რომ მაყურებელთა მთავარი უფლება, – მედიასაშუალებებისგან მიიღოს სწორი ინფორმაცია, აშკარად დაირღვა (ასევე დაირღვა პირველ რიგში მაყურებელთა უფლებები და „მაუწყებლობის შესახებ კანონის 58-ე მუხლი, და მხოლოდ შემდეგ – ქალთა უფლებები) ტელეკომპანია GDS“-ის გადაცემა „ბინა №18“-ში (რომლის წამყვანებიც კოტიკო თოლორაია და ლევან გოგორელიანი (ე. წ. „ფაქო“ არიან), მოკლედ რომ ვთქვათ, ნანუკა ჟორჯოლიანმა თავისი გადაცემით კრიმინალი, მრავალ დანაშაულში ბრალდებული გიგი უგულავა ისე „გააპრავა“ და წარმოაჩინა, როგორც მოღვაწე, ხალხისთვის

გიგი უგულავის დღიური

ბავილში და დამხვდა სავსე ინბოქსი. ძალიან გულწრფელი შეფასებებით. ვისაც გიგი არ უყვარს, თუ გაბრაზებულია მასზე თუ კიდევ მსგავსი... არ უნდათ მასზე პოზიტივი და მესმის.. ზოგი წერს რომ ეს ფაქტებია და ამას კამათი არ ჭირდება. ზოგი მადლობას მწერს, ზოგი მწერს რომ წერილებზე დადებული ხმა პათოსური იყო (თუმცა ვერ ვხვდები სხვანაირად როგორ უნდა გაკეთებულიყო და ვერცერთი ჟურნალისტი ვერ მეტყვის) მაგრამ ესაა ცხოვრება. მედლის ორი მხარე პოზიტივი და ნეგატივი... კარგი და ცუდი.. ბოროტება და სიკეთე და მე ბოლო 5 წელია ვცდილობ ჩემი სტუმრები მხოლოდ პოზიტიური კუთხით გაჩვენოთ. განურჩევლად მისი პოლიტიკური კუთვნილებისა. (სახელებს არ ჩამოვთვლი ვინც სტუმრად მყოფია). ამიტომ მიყვარს ეს გადაცემა. ამ გადაცემაში უყვართ ადამიანები. ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად მაგრამ მთავარია რომ ამ გადაცემაში არის პოზიტივი. არა დაცინვა, არა ქილიკი, არა სტუმრის უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდება არამედ მხოლოდ პოზიტივი. ამიტომაც არის ეს გადაცემა ჩემთვის ძალიან ძვირფასი... ამ ადამიანების ადამიანურობის გამო. ყველას ვერ გპასუხობთ და ამიტომ აქ გწერთ მედლობას. ცხოვრების ძალიან ძვირფასი საათებიდან ყოველ ოთხშაბათს რომ მითმობთ მთელს ორ საათს. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვან და თქვენთვის ძალიან საჭირო დროს! მოკლედ დილა მშვიდობისა ჩემო მეგობრებო. სახეზე ღიმილი და ბედნიერი დღე თქვენ ყველას!

ნანუკა ჟორჯოლიანი. ტელენამყვანი.

ბრ ვაპირებდი, მაგრამ მაიძულებთ!!!! ხომ კარგად გახსოვთ ის დღე, 11 დეკემბერი „ნანუკას შოუში“ მონაწილე პიროვნების მერე როგორ დამიჭირეთ???

მერე მოდულში, სამართლო საკანში გამოამაწყვდიეთ...
მე შიმშილობა გამოვაცხადე, იმიტომ რომ ვიცოდი, რომ იმინა ენუქიძეს გზას გამაყოლებდით!!!
10 კამერა მიღებდა!!!!
რამოდენიმე ხანი სულ შიშველი დამტოვეთ!!!!
მერე 20 წუთში ერთხელ კარს მიღებდით და მეკითხებოდით – გეშინიაო???

მერე მითხარით, – შენს უმცროს შვილს 40 აქვს სიცხე და ვერ დაგარეკინებთო!!!
მერე მითხარით, – მე მგონი, უფროსი ავარიაში მოხვდა და იქაც ვერ დაგარეკინებთო...
მერე მითხარით, – ახალი წელი მოდის და ნაძვის ხეს ვინ მოგიერთავსო?
მერე მითხარით, – შენ და მიშა ერთად სწავლობდით და ჩვენ მხარეს გადმოდი და ცხოვრებას აგინებოთ.....



დღენ შვილებს, ცოლებს და მშობლებს... აი ის წერილები რომლებიც ჩემი წიგნის „გისოსებს მიღმა საქართველოს“ მთავარი ხაზი გახლდათ... აი ის წერილები სადაც პატიმრები ნაც.რეჟიმის დესპოტიზმზე წერდნენ, აი ის წერილები სადაც პირველად გაიჟღერა სიტყვამ „არასრულწლოვანის გაუპატიურება“!!!
ეს არქივი მე მაქვს!!!!
ამ თქვენი „კრკადილის ცრემლებით“ იმდენს წუ იზამთ ხალხმა ლინჩის წესი აგიაო!!!!
დაესხენით ხალხს, ჩუმად გამოისყიდეთ ცოდვები, თორემ ვერავინ გიშველით!!!
ლალი მაროშკინა

* * *

როგორც ვხედავთ, საზოგადოებაში ძალიან უარყოფითი პოზიციია როგორც ამ ერთი კონკრეტული გადაცემა, ასევე მთლიანად ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის და მისი ეთერით გასული შოუს მიმართ, მაგრამ იმ

თავდადებული და სამშობლოზე ლოცვაში მუხლებგადატყავებული გირი. არადა, მისი ბელადის და გუნდის „ღვანლის“ ის ნაწილი, რომელიც ქუჩაში ჩაცხრილია, გაუპატიურებულ, გაუბედურებულ ადამიანთა აზრები კადრს მიღმა დარჩა. ასევე კადრს მიღმა დარჩა შიმშილის ზღვარს მიღმა მყოფი 77000 ბავშვის სახე, უნამუსოთ გარდაცვლილი უამრავი ადამიანი და გამწარებული სიბერისთვის განწირული უამრავი მოხუცი.

რაც შეეხება ხელისუფლებას, ძალიან მაინტერესებს, თუ რა რეაქცია ექნებოდათ ნებისმიერი ქვეყნის მაღალჩინოსნებს, რომელიმე ტელეკომპანიის ეთერით რომ გასულიყო ანალოგიური პათოსით გაკეთებული გადაცემა ჰიმალერზე, პოლ-პოტზე, პინოჩეტზე და ა. შ. ნამდვილად საინტერესოა.

ზია გაბრიჭიძე

ინფორმაცია

დააჯილდოვეს ნარკოტრაფიკის სტუდენტები

იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გოჩა ლორთქიფანიძემ სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს კვლევითი პრაქტიკის წარმატებით გადარებისთვის სერტიფიკატები გადასცა.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, კვლევითი პრაქტიკა სტუდენტებმა იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტში გაიარეს და პროექტის მეორე ეტაპი დაასრულეს, რომელიც ამჯერად მხოლოდ სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის ოთხმა სტუდენტმა ოთხი თვის განმავლობაში განუხლეს სამუშაოებისთვის ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო. კვლევითი პრაქტიკის საფუძველზე სტუდენტებს სასწავლებლებში დამატებითი კრედიტები მიენიჭებოდა. სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის მიზნით და ანტიკორუფციული მიმართულებით გამართულ თემატურ სამუშაო შეხვედრებსა და კონფერენციებში.

ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლები შერჩეულ სტუდენტებს კვლევის პროცესში უშუალო ზედამხედველობას უწევდნენ და პრაქტიკის განმავლობაში ეტაპობრივად აფასებდნენ მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს.

პროგრამა 2014 წლის 21 მარტს დაიწყო. ლია კონკურსის შედეგად შეირჩა 11 უნივერსიტეტის 13 საუკეთესო სტუდენტი. კონკურსის საწყის ეტაპზე მიღებულ იქნა 721 განაცხადი, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს პროგრამის წარმატებულობასა და სტუდენტების დიდ სურვილს, გაიარონ კვლევითი პრაქტიკა იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტში.

ინტერპრესი

რეიტინგი

მსოფლიოს „ყველაზე კარბი“ და „ყველაზე ცუდი“ პასპორტები

პირველი ადგილი „პასპორტების რეიტინგში“ ერთბაშად ხუთმა ქვეყანამ გაიყო: ესენი არიან ფინეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი და ამერიკის შეერთებული შტატები.

ვად ამისა, უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში რუსეთმა რეიტინგში 49-დან 38-ე ადგილზე აინია. მთლიანად რუსეთელების უვიზო გასვლა ღიაა ას ქვეყანაში.



ცნობით, უვიზო მგზავრობებისათვის აქვთ ფინეთის, გერმანიის, შვედეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მოქალაქეებს.

„რეიტინგი ადასტურებს კავშირს სახელმწიფოთა კეთილდღეობასა და ღიაობას შორის და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მისი მოქალაქეების უვიზო გასვლის შესაძლებლობას, - დარწმუნებული არიან გამოკვლევის ავტორები.


კომპანიაში აღნიშნავენ რამდენიმე საინტერესო ცვლილებასაც რეიტინგში უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც სიის ლიდერებს შორის მოხდებოდა, ჯერ კიდევ 2010 წელს ეკავა მეშვიდე ხაზი.

რეიტინგში უკანასკნელი ადგილები უკავიათ ყველაზე დაბალი კეთილდღეობის ქვეყნებს, რომელთა საშინაო პოლიტიკური ვითარება უკიდურესად შემაშფოთებელია: ესენი არიან ლიბია, სუდანი, სირია, პაკისტანი, სომალი და ერაყი.

„კომერსანტი“

საქართველო გრადიუსული მედიცინის სამომავლო ისარგებლო საუკუნეების მანიქულა გამოცდილი გუნებრივი ნაშრომით „ფერდის“ და „სალხინოს“ კომპლემსური გამოყენება

კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია „ფერდის“ და „სალხინოს“ ერთობლივი გამოყენება ქრონიკული გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად.



პირველი 6-7 დღე ინიშნება „ფერდის“ და „სალხინოს“ კავსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კავსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება.

„ფერდი“ და „სალხინო“ იკითხეთ ავთიაქებში.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს. ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84 www.salkhino.ge

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. 299-62-77; 568 82-09-84..

კადრი



ინფორმაცია

განადგურებულია პელური კანაფი

შინაბან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაძის ბრძანების საფუძველზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ნარკოტიკული საშუალებების განადგურების ღონისძიება სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, აჭარაში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ერთდროულად ჩატარდა.

შსს-ს ინფორმაციით, სამინისტროს სამხარეო სამმართველოების თანამშრომლებმა ველურად მზარდი კანაფი შესაბამისი წესების დაცვით განადგურეს.

სამართალდამცველებმა აღნიშნული რეგიონების სხვადასხვა სოფლებში მიმდებარე ტერიტორიებიდან ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერების

შემცველი სულ 28 ტონა და 373 კგ მცენარე გაანადგურეს.

ტრაგედია აპტომაპისტრალზე

რუსთაველი-თბილისის ავტომაგისტრალზე, ავტობარობის შესასვლელთან ავტოავარია მსხვერპლით დასრულდა. ერთმანეთს „ტოიოტას“ მარკის ორი ავტომანქანა შეეჯახა. თვითმხილველების ინფორმაციით, „ტოიოტა კამრის“ მარკის ავტომობილს ქალი მართავდა, ხოლო „ტოიოტა ისტის“ მარკის ავტომობილში ორი მამაკაცი იჯდა.

ინტერპრესი

ცინცხალი ანეკდოტები

- ამ ბოლო დროს რაღაც შეწუხებულ-შეფიქრიანებული ჩანხარ. სამსახურში გაქვს პრობლემები? - ჰო. წარმოგიდგენია, მუშაობას მაიძულებენ. * * * - შინი მანქანა სულ სადარბაზოსთან დგას, - ეუბნება პეტკა ძმაკაცს. - არსად არ გადისხარ. ხომ არ გაგიფუჭდა? - არა. უბრალოდ ისე კარგად დავაყენე, რომ თუ გავიყვანე, მეშინია, სხვამ არ დააყენოს ამ ადგილას მანქანა.

- მი ერთადერთი და განუმეორებელი ვარ, - ეუბნება გოგო დაქალს. - კარგი, რა? - ჰო, ასე ამბობს ჩემი ფსიქიატრი. ასეთი მძიმე შემთხვევები მის პრაქტიკაში ჯერ თურმე არ ყოფილა. * * * - მოდი სვალ ჩემთან, - ეუბნება გოგო ბიჭს, - სახლში არავინ არ იქნება. მივიდა ბიჭი. სახლში მართლაც არავინ არ დახვდა.

Advertisement for SAKARTVELOS RESPUBLIKA magazine, including contact info, ISSN, and subscription rates.